**ქართული ენა და ლიტერატურა**

ანბანის შემდგომი პერიოდი

დანართი N 1

**საგანი:** ქართული ენა და ლიტერატურა
**ძირითადი რესურსი/ტექსტი/:** რუდოლფ ერიხ რასპე–,,თევზის მუცელში“(ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი)
**თემა:** თანადგომა
**შესაძლო დამატებითი თემატიკა:** ურთიერთობები
**კლასი: IVბ**
**საათების სავარაუდო რაოდენობა:**
**სკოლა: მე–11 საჯ.სკ.**
**პედაგოგი: მთვარისა წიკლაური**
***მატრიცის სარჩევი***

| დავალება | ცნებები და ქვეცნებები | საკითხი | საკვანძო შეკითხვები |
|---|---|---|---|
| **კომიქსის შექმნა** | **ტექსტი – კომიქსი**<br>პერსონაჟის ხედვის კუთხე;<br>პირდაპირი და არაპირდაპირი მინიშნებები; | რუდოლფ ერიხ რასპე–,,თევზის მუცელში“(ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი) ეპიზოდის საფუძველზე კომიქსის შედგენა | როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით შევქმნა კომიქსი ზღაპრის ეპიზოდის საფუძველზე?<br>რომელ პირდაპირ და არაპირდაპირ მინიშნებებზე დაყრდნობით წარმოვაჩინო თითოეული პერსონაჟის ხედვის კუთხე–მათი სიტყვები, ფიქრები, გრძნობები, ემოციები? |

| სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები | საკითხი | საკვანძო შეკითხვები: | კომპლექსური დავალება |
|---|---|---|---|
| **სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები** | **საკითხი**რუდოლფ ერიხ რასპე–,,თევზის მუცელში“(ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი) ეპიზოდის საფუძველზე კომიქსის შედგენა<br><br>**ქვეცნებები:**<br>პერსონაჟის ხედვის კუთხე;<br>კითხვის სტრატეგიები; | **საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით შევქმნა კომიქსი ზღაპრის ეპიზოდის საფუძველზე?<br>• რომელ პირდაპირ და არაპირდაპირ მინიშნებებზე დაყრდნობით წარმოვაჩინო თითოეული პერსონაჟის ხედვის კუთხე–მათი სიტყვები, ფიქრები, გრძნობები, ემოციები? | **კომპლექსური დავალება** |

**(1) ტექსტი – კომიქსი**
(შედეგები: I 2; I 3; I 4; I 5; I 6; I. 7; I. 8; I. 9; I. 12; I. 13; I. 14; I. 15)

1. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება.
2. ტექსტში პირდაპირ ან არაპირდაპირ მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია ტექსტის სიღრმისეულად, ახლებურად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა.
3. ტექსტის გასაგებად/შესაქმნელად მნიშვნელოვანია სტრატეგიების ამოჩენა და გამრავალფეროვნება.
4. ტექსტი შეიძლება იყოს: **კომიქსი**

***1. შინაარსი***

- კომიქსში ამბავი გადმოცემულია ნახატებით და „ღრუბლებში“ სიტყვებით.
- ➢ „ღრუბლებში“ მოთავსებულია ის სიტყვები, რომლებითაც პერსონაჟები ელაპარაკებიან ერთმანეთს, მათი ფიქრები და ოცნებები;

**კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)**

**ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა**

**დავალების მოთხოვნების გაცნობიერება**

- ➢ ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება?
- ➢ რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- ➢ რისი შესწავლა დაგჭირდებათ?

**ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

ნაბიჯი 1. რა ხერხები, რა სტრატეგიები გამოიყენე ზღაპრის გასაგებად?
ა) რა სტრატეგიები გამოვიყენო ტექსტის შინაარსის ამოსაჩენად?

**რესურსები/აქტივობები**
**რესურსი 1:** რუდოლფ ერიხ რასპე-„თევზის მუცელში“(ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი)

***აქტივობა 1.*** წინასწარი ვარაუდების გამოთქმა სათაურსა და ილუსტრაციაზე დაყრდნობით

***აქტივობა 2.*** ვარაუდებით ***შუა ნაწილის აღდგენა*** – მასწავლებელი წაიკითხავს ტექსტის პირველ და ბოლო აბზაცს უნდა ივარაუდონ და ზეპირად გადმოსცენ, რა მოხდა ამბის შუა ნაწილში.

***რესურსი 2.*** *კითხვის ხერხების ცხრილი*

- ➢ პასუხი პირდაპირ ტექსტში მოვიძიე.
- ➢ ერთმანეთს დავუკავშირე მინიშნებები და გამოვიტანე დასკვნა;
- ➢ მინიშნებები დავუკავშირე ჩემს ცოდნას, გამოცდილებას და გამოვიტანე დასკვნა.

| შეკითხვა | კითხვის რომელი ხერხი უნდა გამოიყენო? რატომ ფიქრობ ასე? |
|---|---|
| ა) სად მოგზაურობდა ბარონი? | |
| ბ) რა დაინახა მან? | |
| გ) რატომ ჰქვია ამ ზრაპარს „თევზის მუცელში/“? | |

**დავალება1: ზღაპრის სიუჟეტის გაგრძელება**
გაიაზრე ზღაპრის ეპიზოდი, სადაც მოთხრობილია თუ როგორ აღმოჩნდა ბარონი მიუნჰაუზენი თევზის მუცელში, დახატე კომიქსი ამ ეპიზოდის საფუძველზე.
***კომიქსში:***

- ➢ გამოსახე ეპიზოდის მონაწილე პერსონაჟები: ბარონ მიუნჰაუზენი, თევზი,მეზღვაურები.
- ➢ წარმოაჩინე, როგორია თითოეული პერსონაჟის ხედვის კუთხე – რას ფიქრობენ ან გრძნობენ, რას ამბობენ ისინი, როგორია მათი განზრახვა, რა სურთ მათ;
- ➢ წინადადებათა შინაარსის გათვალისწინებით, შეარჩიე სასვენი ნიშნები.

***ნაშრომის წარდგენის შემდეგ, ისაუბრე:***

- რა პირდაპირ და არაპირდაპირ მინიშნებებს დაეყრდენი პერსონაჟების ფიქრების, განზრახვისა თუ ნათქვამის ამოსაცნობად (ტ. 2);
- რით ჰგავს შენი კომიქსი ზღაპარს, რით განსხვავდება მისგან
- რამდენად ასახავს კომიქსი მწერლის მთავარ სათქმელს? იზიარებ
- რა ხერხები, რა სტრატეგიები გამოიყენე მოთხრობის გასაგებად?

- ნახატები გამოხატავს პერსონაჟებს, მათ ქმედებებს, ზოგჯერ – გრძნობებსა და განწყობას, მოქმედების ადგილს;
- ამბის გადმოსაცემად უმეტესწილად გამოიყენება საუბრები (/დიალოგები) პერსონაჟებს შორის;
- დამატებით შესაძლებელია გამოყენებული იყოს მართკუთხედებში ჩასმული ავტორისეული კომენტარები, სხვა საჭირო მოკლე ინფორმაცია (მაგ., პერსონაჟებზე, მომხდარზე, მოქმედების დროზე).

## 2. აგებულება-სტრუქტურა

- კომიქსში გადმოცემულ ამბავს აქვს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული, რომლებიც თანმიმდევრულად ებმის ერთმანეთს;
- კომიქსში ამბავი გადმოიცემა დროითი თანამიმდევრობის დაცვით.

| | |
|---|---|
| დ) როგორი დამოკიდებულება ჰქონდა მთხრობელს იტალიელი მეზღვაურების მიმართ? | |

***აქტივობა 3. კითხვის სტრატეგიებზე/ხერხებზე დაკვირვება – მოსწავლეები აკვირდებიან, რა ხერხები გამოიყენეს პასუხის გასაცემად და ავსებენ ცხრილს.***

*რესურსი 3. უჩვეულო კითხვების ცხრილი*




| მოთხრობაში | ჩემს გონებაში |
|---|---|
| დასვი კითხვა, რომლის პასუხი ტექსტშია | დასვი კითხვა, რომლის პასუხი ტექსტში არ არის, მაგრამ იგულისხმება |
| ტექსტშივე მოიძიე პასუხი | თავად უპასუხე შენს მიერ დასმულ შეკითხვებს |

***აქტივობა 4: უჩვეულო კითხვები და პასუხები***

| | |
|---|---|
| სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები | ➢ როგორ ფიქრობ, რა მოხდა შუა ნაწილში?<br>➢ რატომ ფიქრობ ასე?<br>➢ რა მინიშნებებს ეყრდნობი?---------<br>➢ გამართლდა თუ არა თქვენი მოლოდინები?<br><br>➢ რა ხერხები გამოიყენეთ კითხვებზე პასუხის გასაცემად?<br>• პასუხი პირდაპირ მოიძიე ტექსტში? |

- რა ხერხები/სტრატეგიები გამოიყენე კომიქსის შესაქმნელად

მაკროცნებები

- კომიქსს აქვს გამოკვეთილი სტრუქტურა.

***3. ენა***

გამოიყენება სხვადასხვა შინაარსის წინადადებები, ხშირად გამოიყენება ემოციების აღმნიშვნელი სიტყვები და ფრაზები.

| | |
|---|---|
| **ქვეცნება:**<br><br>**კითხვის სტრატეგიები** | • ერთმანეთს დაუკავშირე მინიშნებები და გამოიტანე დასკვნა?<br>• მინიშნებები დაუკავშირე შენს ცოდნას, გამოცდილებას და გამოიტანე დასკვნა? |

***ნაბიჯი 1.*** რა ხერხები, რა სტრატეგიები გამოიყენე ზღაპრის გასაგებად?
**ბ)** რა სტრატეგიები გამოვიყენო უცნობის სიტყვების ამოსაცნობად და საათვისებლად?
**გ)** რა სტრატეგიები გამოვიყენო კითხვაში გასაწაფად, ტექსტის აგებულების ამოსაცნობად?

**რესურსები./აქტივობები**
**რესურსი:** რუდოლფ ერიხ რასპე-,,თევზის მუცელში"(ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი)

***აქტივობა 1.*** ახალ/იშვიათად ხმარებულ სიტყვებზე მუშაობა

**აქტივობა 2.** ერთობლივი კითხვა ,(გუნდურად) გაგრძელებებით კითხვა;

**აქტივობა 3:** ტექსტის ეპიზოდებად დაყოფა და ეპიზოდების დასათაურება
**აქტივობა 4:** გრძნობათა ყულაბა – მოსწავლის მიერ შერჩეული და წაკითხული ეპიზოდის მოსმენისას აღძრული გრძნობების ამორჩევა დაფაზე გაკეთებული ჩამონათვალიდან. (იხ. დანართი )

| | |
|---|---|
| სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები<br><br>**ქვეცნება:**<br><br>**კითხვის სტრატეგიები** | - რომელია თქვენთვის უცნობი სიტყვები? ვის შეუძლია მნიშვნელობის ამოცნობა წინადადებაზე დაყრდნობით?<br>- როგორ გესმით: „მოვიბღუნძე,, ,,საპყრობილე" სხვანაირად როგორ იტყოდით ამას?<br>მოიფიქრეთ ერთ-ორწინადადებიანი ამბავი ამ სიტყვების გამოყენებით.<br>- როგორ გესმით **,,ჩინებული მცურავი"** სხვანაირად როგორ იტყოდით ამას?<br>- როგორ გესმით ,,ჭკუამახვილი კაცი"? რა შემთხვევაში შეიძლება ითქვას ეს?<br><br>- რამდენ ეპიზოდად დაყოფდით ამ ზღაპარს?<br>- რამდენი ამბისგან, მოვლენისგან შედგება იგი?<br>- როგორ დაასათაურებდით მათ?<br><br>- რატომ შეარჩიე ეს ეპიზოდი? |

- რა გრძნობა აღძრა შენში ამ ეპიზოდმა? რატომ? რით ახსნი?
- რისი თქმა უნდოდა მწერალს ამ ეპიზოდით?

**ნაბიჯი 2.**
რა პირდაპირ და არაპირდაპირ მინიშნებებს დაეყრდენი პერსონაჟების ფიქრების, განზრახვისა თუ ნათქვამის ამოსაცნობად

**რესურსები/აქტივობები**
**რესურსი 1:** რუდოლფ ერიხ რასპე-,,თევზის მუცელში“(ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი)
**რესურსი 1. პერსონაჟის სქემა**

| **პერსონაჟი : --------** | |
|---|---|
| ***მიზანია*** | |
| ***აკეთებს*** | |
| ***ფიქრობს*** | |
| ***რა შედეგი მიიღო*** | |
| ***გრძნობს, განიცდის*** | |
| ***ამბობს*** | |
| ***როგორია პერსონაჟი?*** | |

**აქტივობა 1.** კითხვა-პასუხი ტექსტზე დაყრდნობით
**აქტივობა 2.** დაკვირვება სამივე პერსონაჟზე „პერსონაჟის სქემის“ გამოყენებით
**აქტივობა 3.** დაკვირვება კომიქსის შესაქმნელად მნიშვნელოვან მინიშნებებზე

| **პერსონაჟი 1.______________** | |
|---|---|
| **ჩემთვის მნიშვნელოვანი და საჭირო მინიშნება** | **რით არის მნიშვნელოვანი და საჭირო?** |

| | |
|---|---|
| | |
| | |

| პერსონაჟი2.______________ | |
|---|---|
| ჩემთვის მნიშვნელოვანი და საჭირო მინიშნება | რით არის მნიშვნელოვანი და საჭირო? |
| | |
| | |

| პერსონაჟი 3.______________ | |
|---|---|
| ჩემთვის მნიშვნელოვანი და საჭირო მინიშნება | რით არის მნიშვნელოვანი და საჭირო? |
| | |
| | |

| | |
|---|---|
| სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე | ➢ ყველაზე მეტად რომელი პერსონაჟი მოგეწონა? რატომ? (ახსენი შენი მოსაზრება)<br>➢ როგორ შეაფასებ მთხრობლის საქციელს?<br>➢ შენი აზრით, რას გვასწავლის ეს ზღაპარი? /რისი თქმა უნდოდა ავტორს ამ ამბის მოყოლით?<br>➢ რატომ ფიქრობ ასე?<br>➢ იზიარებ თუ არა მწერლის მთავარ სათქმელს? რატომ? |

| | |
|---|---|
| ორიენტირებული შეკითხვები<br><br>**ქვეცნება:**<br><br>პერსონაჟის ხედვის კუთხე;<br>**კითხვის სტრატეგიები** | ➢ ვის აქვს განსხვავებული მოსაზრება? რატომ ფიქრობ ასე?<br>➢ შენი აზრით, ასე რატომ დაასათაურა ავტორმა ზღაპარი??<br>➢ რამდენად და როგორ ახასიათებს პერსონაჟს მისი სიტყვები, აზრები, ემოციები, ქმედებები და დამოკიდებულებები?<br>➢ როგორ იყენებს ავტორი მინიშნებებს პერსონაჟის ხასიათის გამოსაკვეთად?<br>➢ როგორ ფიქრობთ, რას გრძნობდა ან ფიქრობდა მიუნჰაუზენი ,როცა თევზის მუცელში მოხვდა? რა მიგანიშნებთ ამაზე?<br>➢ როგორ ფიქრობთ, რას გრძნობდა ან ამბობდა თევზი? რა მიგანიშნებთ ამაზე?<br>➢ როგორ ფიქრობთ, რას გრძნობდნენ ან რაზე ლაპარაკობდნენ მეზღვაურები?? რა მიგანიშნებთ ამაზე?<br>➢ რა საგულისხმო დეტალებს ამჩნევთ ბოლო ეპიზოდში?<br>➢ პერსონაჟების რომელ მინიშნებს გამოიყენებ კომიქსის ბოლო ეპიზოდის შესაქმნელად? რატომ? |

**ნაბიჯი 3.** რამდენად ასახავს კომიქსი მწერლის მთავარ სათქმელს? (ტ. 1);
რით ჰგავს შენი კომიქსი მოთხრობას, რით განსხვავდება მისგან (მოთხრობა 1, 2, 3 – კომიქსი 1, 2, 3); რა ხერხები/სტრატეგიები გამოიყენე კომიქსის შესაქმნელად (ტ.3)

**<u>რესურსები/აქტივობები</u>**

**<u>რესურსი 1:</u>** კომიქსისა და ილუსტრაციის ნიმუშები (*გ. ლაფაური, „ბოლოკა და ყვანჩალა", ბაკურ სულაკაური; კომიქსის გაგრძელება იხ.დანართში)*








**<u>აქტივობა 1: კომიქსის არსებითი მახასიათებლების გახსენება</u>**

**აქტივობა 2: მეტაკოგნიტური პაუზა** (დაფიქრება სტრატეგიებზე, გადასადგმელ ნაბიჯებზე)
**აქტივობა 3. კომიქსზე დამოუკიდებლად მუშაობა (შესაძლოა საშინაო დავალება იყოს)**

| | |
|---|---|
| სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები<br><br>**ქვეცნება:**<br><br>პერსონაჟის ხედვის კუთხე;<br>**კითხვის სტრატეგიები** | ➢ რით ჰგავს და რით განსხვავდება პირველი ორი ნიმუში მესამისგან ? **(აქტ.1)**<br>➢ რა მიზანს ისახავდნენ ავტორები მათი შექმნისას?<br>➢ რით განსხვავდება კომიქსები ილუსტრირებული ნახატებისაგან?<br>➢ შესაძლებელია თუ არა მესამე ნიმუში ვაქციოთ კომიქსად? როგორ?<br>➢ საიდან ვიგებთ, რას ამბობენ პერსონაჟები?<br>➢ როგორ მიგვანიშნებს კომიქსი, რომ პერსონაჟის ფიქრია გადმოცემული და არა საუბარი (პატარ-პატარა ღრუბლებით. **<u>იხ. ბოლოკას ფიქრები</u>**)?<br>➢ როგორ მიგვანიშნებს კომიქსი, რომ პერსონაჟის საუბარია გადმოცემული?(ისრიანი ღრუბლებით)<br>➢ საიდან ვიგებთ, როგორ ხასიათზე არიან, რა განწყობა აქვთ?<br>➢ საიდან ვიგებთ, სად ან როდის ხდება მოქმედება?<br>➢ შეგიქმნია თუ არა კომიქსი და რასთან დაკავშირებით? რა თემაზე?<br>➢ რა საერთო მახასიათებლები აქვს კომიქსს?<br>➢ როგორი წინადადებებია გამოყენებული?<br>➢ რომელი სასვენი ნიშნებია გამოყენებული და რატომ?<br>➢ რას იტყოდით, როგორი უნდა იყოს კარგი კომიქსი?<br>➢ *როგორ გარდავქმნა მოთხრობის ეს ეპიზოდი კომიქსად?*<br>➢ *რა მინიშნებებს უნდა დავეყრდნო ხედვის კუთხის ამოცნობისთვის?*<br>➢ *როგორ ავსახო კომიქსში პერსონაჟების შინაგანი სამყარო?*<br>➢ როგორ შექმნით კომიქსს? რა სტრატეგიებს გამოიყენებთ? რა ნაბიჯებს გადადგამთ მის შესაქმნელად?<br>    ➢ როგორ ჩამოაყალიბა თითოეულმა თქვენგანმა სამოქმედო გეგმა?<br>    ➢ ნაბიჯი 1.<br>    ➢ ნაბიჯი 2.<br>    ➢ ნაბიჯი 3.<br>    ➢ *მომცა თუ არა საშუალება დავალებამ ტექსტის შინაარსი სხვა კუთხით დამენახა? (აქტ, 3)* |

**დავალების წარდგენა ინდივიდუალურად ან კლასის წინაშე;**

მსმენელის დღიური:

| | | | |
|---|---|---|---|
| | *რა მომეწონა, რომელი დეტალი იყო ჩემთვის საინტერესო და რატომ?* | *რით ჰგავს, რით განსხვავდება ჩემი კომიქსისგან?* | *რას მიაქცია ყურადღება ისეთს, რაც მე გამომრჩა მხედველობიდან, ან პირიქით?* |

| | | | |
|---|---|---|---|
| *გამომსვლელი 1.* | | | |
| *გამომსველელი 2.* | | | |

- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი ნამდვილად კომიქსია?
- რამდენად ასახავს კომიქსი მწერლის მთავარ სათქმელს?
- აღწერე, რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წაააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი? რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა; რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებია?
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს დავალების მოთხოვნებთან მიმართებით? რამ შეგიწყო წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხა?
- შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით გააუმჯობესებდი მიღწევებს/როგორ მიაღწევ უკეთეს შედეგს?